დანართი

განაცხადი

შპს „მოსავლის მართვის კომპანიის“ საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გაყიდვის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

ქონების გამყიდველი ორგანოს დასახელება		შპს „მოსავლის მართვის კომპანია“
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	405406109
2	მისამართი, ტელეფონი	საქართველო , თელავის მუნიციპალიტეტის სოფელი აკურა, ტელეფონი 577080422; 551134422;
3	ელ.ფოსტა	ltdmosavali@yahoo.com
4	გასაყიდი ქონების ტიპი	მოძრავი ქონება
5	გასაყიდი ქონების დასახელება	2023 წლის მოსავლის ღვინის ახალგაზრდა საბრენდე სპირტი (ღვინის დისტილატი)
6	ინფორმაცია ქონების შესახებ	სპირტის შემცველობა 68,0-75,0%-მდე.
7	ნივთის რაოდენობა/ზომის ერთეული	200 000 ლიტრი აბსოლუტური ალკოჰოლი.
8	გასაყიდი ნივთის ადგილმდებარეობა	საქართველო, ქ. თელავი, სოფ. აკურა (შპს „მოსავლის მართვის კომპანია“, ს.კ. 405406109)
9	გასაყიდი ქონების საწყისი ფასი	1 600 000 ლარი დღგ-ს ჩათვლით.
10	ბიჯის სიდიდე	10 000 ლარი.
11	ბეს თანხის ოდენობა	160 000 ლარი.
12	საბრენდე სპირტის მყიდველი ვალდებულია:	1. გამოცხადდეს ნასყიდობის ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის მიზნით (შპს „მოსავლის მართვის კომპანიაში“ აუქციონის დასრულებიდან ხუთი კალენდარული დღის ვადაში; 2. შეძენილი საქონელი გაიტანოს და ნასყიდობის თანხა გადაიხადოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 12 თვის ვადაში, შეთანხმებული დაფარვის (ყოველკვარტალური) გრაფიკის შესაბამისად; 3. თუ ელექტრონულ აუქციონში მონაწილე ვერ გაიმარჯვებს, მას უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა უკან უბრუნდება, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში - უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა ითვლება აუქციონის საბოლოო/შეთავაზებულ ფასში.
13	განთავსების ხანგრძლივობა (აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი)	აუქციონის ხანგრძლივობა 7 კალენდარული დღე (დაწყების დრო და თარიღი: 14:00 საათი - 15.07.2024წ. დასრულების დრო და თარიღი: 14:00 საათი - 22.07.2024წ.)
14	ელექტრონულ აუქციონში მონაწილის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს თანხა უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება თუ:	1. ელექტრონულ აუქციონში გამარჯვებული დადგენილ ვადაში არ გადაიხდის ელექტრონულ აუქციონზე თავის მიერ დასახელებულ თანხას;
15	დამატებითი პირობები:	1. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდის ბოლო ვადას.
16	აუქციონის შედეგები უქმდება თუ:	1. აუქციონის გამარჯვებულმა განსაზღვრულ ვადაში სრულად არ გადაიხადა ნასყიდობის საფასური; 2. აუქციონში გამარჯვებულმა უარი განაცხადა ნასყიდობის ხელშეკრულების ხელმოწერაზე;

		აღნიშნულ შემთხვევაში წარმოდგენილი უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის /ბე-ს თანხა არ უბრუნდება აუქციონში გამარჯვებულს. 3. ნასყიდობის თანხის გადახდის ვადის დარღვევის შემთხვევაში მყიდველს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 500 ლარის ოდენობით, მაგრამ არაუმეტეს 100 000 ლარისა; 4. პირგასამტეხლოს დარიცხვა შეწყდება თუ იგი მიაღწევს 100 000 ლარს ან დადგება შესაბამისი წლის 01 ივლისი, (იმის მიხედვით, უფრო ადრე რომელი მოხდება). ასეთ, შემთხვევაში კომპანია უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, მყიდველს არ დაუბრუნდება ბე-ს სახით გადახდილი თანხა და იგი ვალდებულია გადაიხადოს დარიცხული პირგასამტეხლო.